



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N143



2013 წლის 10 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში 2011 წლის 18 ივნისს სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 აგვისტოს N117 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2011 წლის 18 ივნისს მდინარე სურამულას ადიდებას და წყალდიდობამ უდიდესი ზიანი მიაყენა დაბა სურამისა და ქალაქ ხაშურის მოსახლეობის ინფრასტრუქტურას. მიყენებული ზიანის მოცულობის აღრიცხვის მიზნით საჭიროა შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეასრულებს ამ მიმართულებით ჩასატარებელ სამუშაოებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის დამდგენი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:


- ა. მურჯიკნელი სულიკო - ფრაქცია „დემოკრატები“-ს თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარე.
- ბ. ცხადიაშვილი გიორგი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - კომისიის წევრი,
- გ. გელაშვილი გურამი - სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;
- დ. ჩაჩანიძე ალექსანდრე - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე-კომისიის წევრი;
- ე. ბურნაძე თამაზი - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის გაზრდისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის სრულყოფილად აღრიცხვის მიზნით სამუშაო ჯგუფში ანაზღაურების გარეშე მოწვეულ იქნან მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტები, მშენებელ სპეციალისტთა ჯგუფი და დაზარალებული მოსახლეობის მიერ არჩეული პირები თანდართული სიის მიხედვით; (დანართი N1)

3. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის და მოწვეული წევრების მიერ მოსახლეობის ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის აღწერის თანდართული ფორმა. (დანართი N2)

4. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გახანგრძლივდეს - 7 სამუშაო დღით - 8 აგვისტოდან 18 ოქტომბრამდე;
5. ეს განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე